დინამოელები ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 27 ნოემბერი. ჩეხოსლოვაკიაში სტუმრად მყოფმა თბილისის "დინამომ" ფეხბურთელებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს ქ. პრჟიბრამში ადგილობრივ გუდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1 (პირველი ტაიმი 1:1). დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს გუცაევმა (2) კანთელაძემ და მ. მაჩაიძემ.

ჰანოი. ცსკა–ს ფეხბურთელებმა თავიანთი მეოთხე შეხვედრა გამართეს ვიეტნამის სამხრეთის ერთ–ერთ უდიდეს ქალაქ ხოშიმინში და დაამარცხეს სამხედრო ოლქის გუნდი – 1:0.

"თხონგნიატის" სტადიონზე 30 ათასი მაყურებელი დაესწრო ამ მატჩს, რომლის ბედი დოროფეევის ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა. 29 ნოემბერს ცსკა ეთამაშება ვიეტნამის დედაქალაქის ახალგაზრდულ ნაკრებს.

”ლელო” 29 ნოემბერი 1977 წ.